

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/32

თბილისი

“ 17 “ მაისი 2017 წ.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში ცვლილების შეტანის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის და გთსუ-ის ბიბლიოთეკის გამგის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

შევიდეს ცვლილება რექტორის 2010 წლის 27 მაისის №01-01/27 ბრძანებით დამტკიცებულ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეს წესი არეგულირებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანებას, საბიბლიოთეკო ერთეულების გამოწერა-სარგებლობა-დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და საბიბლიოთეკო ქცევის წესებს

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები ეფუძნება “საბიბლიოთეკო საქმის შესახებ” საქართველოს კანონს, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდებას, ეტიკის კოდექსს და საბიბლიოთეკო დებულებას

ბიბლიოთეკის ფონდი დაკომპლექტებულია, როგორც, ბეჭდური დოკუმენტებით ასევე ციფრული ერთეულებით ბიბლიოთეკაში მოქმედებს ანბანური , სისტემური და ელექტრონული კატალოგი.

ბიბლიოთეკა მონაწილეობს პროექტში, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ **EBSCO-ს პაკეტში**" შემავალი შემდეგი 11 ბაზით:

1. Academic Search ELITE
2. Business Source ELITE
3. MasterFILE ELITE
4. Health Source: Consumer Edition
5. Health Source: Nursing/Academic
6. Newspaper Source
7. MEDLINE
8. ERIC
9. Library and Information Center (LISTA)
10. Regional Business News
11. GreenFile

ზოგადი წესები

ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, ორშაბათი-პარასკევი 9:30-დან - 19:00 საათამდე, შაბათს 10:00-დან 16:00 საათამდე. დასვენების დღე კვირა ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა.

- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

რექტორი

გიორგი მათიაშვილი

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/27 27 მაისი 2010 წ.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №01-01/68
2. რექტორის 2017 წლის 17 მაისის ბრძანება №01-01/32

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

ეს წესი არეგულირებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაწევრიანებას, საბიბლიოთეკო ერთეულების გამოწერა-სარგებლობა-დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და საბიბლიოთეკო ქცევის წესებს

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები ეფუძნება "საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" საქართველოს კანონს, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდებას, ეთიკის კოდექსს და საბიბლიოთეკო დებულებას

ბიბლიოთეკის ფონდი დაკომპლექტებულია, როგორც, ბეჭდური დოკუმენტებით ასევე ციფრული ერთეულებით ბიბლიოთეკაში მოქმედებს ანბანური, სისტემური და ელექტრონული კატალოგი.

ბიბლიოთეკა მონაწილეობს პროექტში, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ **EBSCO-ს პაკეტში**" შემავალი შემდეგი 11 ბაზით:

12. Academic Search ELITE
13. Business Source ELITE
14. MasterFILE ELITE
15. Health Source: Consumer Edition
16. Health Source: Nursing/Academic
17. Newspaper Source
18. MEDLINE
19. ERIC
20. Library and Information Center (LISTA)
21. Regional Business News
22. GreenFile

ზოგადი წესები

ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, ორშაბათი-პარასკევი 9:30-დან - 19:00 საათამდე, შაბათს 10:00-დან 16:00 საათამდე. დასვენების დღე კვირა ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა. (რექტორის 2017 წლის 17 მაისის ბრძანება №01-01/32)

მკითხველთა რეგისტრაცია

1. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველა სტუდენტს და თანამშრომელს. საბიბლიოთეკო მომსახურებით ვერ ისარგებლებენ ის სტუდენტები და თანამშრომლები, რომლებიც არ იქნებიან დარეგისტრირებული. რეგისტრაციისათვის საჭიროა სტუდენტის (თანამშრომლის) პირადობის მოწმობა, რის საფუძველზეც ხდება მკითხველის პირადი ბარათის შევსება, ამის შემდეგ დაინტერესებულ პირს შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერი საბიბლიოთეკო მომსახურებით

2. ბიბლიოთეკაში გაწევრიანება ხდება სტუდენტობის პერიოდში ერთხელ. სტუდენტი, რომელიც გაწევრიანდება საბაკალავრო სწავლების პერიოდში, ბიბლიოთეკის წევრობას ინარჩუნებს სამაგისტრო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაშიც.

წიგნის გატანა-დაბრუნება

1. ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა შესაძლებელია ორი კვირის ვადით. შინ არ გაიცემა ლიტერატურა, რომლის მხოლოდ ერთი ან ორი ეგზემპლარი ინახება წიგნად ფონდში, ამგვარ შემთხვევაში მკითხველს შეუძლია ისარგებლოს სამკითხველო დარბაზით. ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რამდენიმე ეგზემპლარის სახით მოიპოვება ბიბლიოთეკის ფონდში. უპირატესად გაიცემა დამზადებული ასლები თუ კი ასეთი არსებობს.
2. გატანილი მასალის, ან წიგნის უკან დაბრუნების ვადის ამოწურვისთანავე (ორი კვირის გასვლა), მომხმარებელი ვალდებულია დაუბრუნოს იგი ბიბლიოთეკას. თუ მკითხველი დამატებით კვლავ საჭიროებს ვადის გაგრძელებას, მას შეუძლია, ხელახლა გაიტანოს მასალა ორი კვირის ვადით, იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამის მასალაზე არ შემოსულა სხვა განაცხადი.
3. ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელიც გასცემს ერთეულს (ბეჭდური დოკუმენტი ან ციფრული მატარებელი) დარბაზში სამუშაოდ ან შინ წასაღებად, ვალდებულია მკითხველთან ერთად შეამოწმოს ლიტერატურის ვარგისიანობა, საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს შესაბამისი აქტი და მოითხოვოს იგივე მდგომარეობით დაბრუნება.
4. მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით ბიბლიოთეკას გახსნილი აქვს ბზა (ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტი) თბილისის სხვა დიდ ბიბლიოთეკებთან

საბიბლიოთეკო ერთეულის დაზიანება (ბეჭდური და ელექტრონული დოკუმენტი)

1. დაუშვებელია ბეჭდურ დოკუმენტზე ან ციფრულ მატარებელზე აღნიშვნების გაკეთება, გადაკეცვა, დაზიანება (ფურცლის ამოხევა, დახევა, გაჭუჭყიანება).
2. პირველი პუნქტით განსაზღვრული დარღვევების შემთხვევაში ბიბლიოთეკის თანამშრომელი ადგენს აქტს, ხოლო საფინანსო ოფისი განსაზღვრავს ფინანსურ სანქციას იმის გათვალისწინებით თუ რა ოდენობის თანხაა საჭირო მისი აღდგენის ან ახლის შეძენისათვის. მკითხველი ვალდებულია გადაიხადოს დადგენილი საზღაური.
3. ერთეულის დაკარგვის შემთხვევაში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, თანამშრომლისა და მკითხველის მონაწილეობით უნდა შედგეს შესაბამისი აქტი ერთეულის ღირებულების მინიშნებით.
4. დაკარგული ან დაზიანებული ერთეულის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით და დაემატება ფინანსური სანქციით დადგენილი ღირებულება, მაგრამ არა უმეტეს ამ ერთეულის ღირებულებების 100%-ისა.
5. ერთეულის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველს შეუძლია დააბრუნოს იგივე დასახელების და გამოცემის წლის შესაბამისი ან, სანაცვლოდ, სხვა დასახელების ერთეული – თუ ამის შესახებ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თანხმობას განაცხადებს. სხვა შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი აქტით დაფიქსირებული ღირებულება.

ინტერნეტრესურსებით სარგებლობა

1. ბიბლიოთეკის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის უფლება აქვს უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს.
2. კომპიუტერთა და ინტერნეტით სარგებლობა არის უფასო, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ასევე ისარგებლოს უკაბელო ინტერნეტით.

3. ბიბლიოთეკის აუდიო-ვიზუალური ტექნიკით (კომპიუტერებით) სარგებლობისთვის მკითხველი მიმართავს ბიბლიოთეკის თანამშრომელს შესაბამისი მასალის მისაღებად.

4. იმ შემთხვევაში თუ მკითხველი არ ფლობს აუდიო-ვიზუალური ტექნიკით სარგებლობის ჩვევებს ბიბლიოთეკის თანამშრომელი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს.

5. მკითხველს შეუძლია ფონდში არსებული ელექტრონული ვიდეო, აუდიო და ტექსტური მასალებით სარგებლობა,

6. ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში მოქმედებს იგივე სანქციები, რაც გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო ერთეულის ასანაზღაურებლად.

ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

1. მკითხველი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები;

2. მკითხველი ვალდებულია პატივი სცეს როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლების, ასევე სხვა მომხმარებლის უფლებებს;

3. გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

4. ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე მკითხველი ვალდებულია: გადაიყვანოს მობილური ტელეფონი უხმო რეჟიმზე; დაიცვას სიჩუმე; ჯგუფური მუშაობისას არ შეუშალოს ხელი სხვა მკითხველს;

5. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის შემდეგ თვითნებურად არ დატოვოს სამუშაო მაგიდაზე, არამედ ჩააბაროს ბიბლიოთეკარს.

6. წიგნის ან სხვა მასალის მიღებისას გულდასმით შეამოწმოს ის და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

7. ბიბლიოთეკაში დაუშვებელია საკვები პროდუქტების შეტანა.

8. მკითხველს ეკრძალება ბიბლიოთეკიდან წიგნის ან სხვა რესურსის, მკითხველის აბონემენტში ბიბლიოთეკარის მიერ სპეციალური ჩანაწერის გაკეთების გარეშე, თვითნებურად გატანა

სანქციები ქცევის წესების დარღვევისას

1. მკითხველის მიერ თანამშრომლის ან ბიბლიოთეკის სხვა მომხმარებლის შეურაცხყოფისას, მკითხველს ეკისრება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი;

2. მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის რესურსისა და ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში ბრალეულობის დადგენისას მკითხველს ეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა და ზარალის სრული ანაზღაურება;

3. მკითხველის მიერ სამკითხველო დარბაზში სიჩუმის დარღვევისას (ხმამაღალი საუბარი, მობილურის ზარი და ა.შ.) მკითხველი ბიბლიოთეკარისგან იღებს სიტყვიერ გაფრთხილებას, მსგავსი დარღვევის განმეორების შემთხვევაში ტოვებს სამკითხველო დარბაზს.

4. მკითხველის მიერ საბიბლიოთეკო რესურსის ბიბლიოთეკიდან თვითნებურად გატანისას, მკითხველს ეკისრება უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინარული სასჯელი.

შენიშვნა: ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს რექტორატთან შეთანხმებით უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, გააუქმოს (შეაჩეროს), ან შეცვალოს ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის წესი:

ა) თუ პირი შემჩნეულია წიგნის ან შესაბამისი მასალის ვადა გადაცილებით დაბრუნებაში, შესაძლებელია უარი ეთქვას ბიბლიოთეკიდან სათანადო ლიტერატურის გატანასთან დაკავშირებით.

ბ) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს, გამონაკლის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს წიგნის ან ბიბლიოთეკიდან გატანილი სხვა მასალის (დისკის, ვიდეო კასეტის) ვადაზე ადრე დაბრუნება. ასეთ დროს მომხმარებელი ვალდებულია, გამოთხოვილი მასალა დააბრუნოს შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში.

გ) სტუდენტი, რომელიც სწავლის პერიოდში ვერ დაფარავს ბიბლიოთეკის დავალიანებას შესაბამისად ვერ მიიღებს ბიბლიოთეკის ხელმოწერას შემოვლის ფურცელზე

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში ცვლილება–დამატებების შესახებ

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში ცვლილება-დამატებების შეტანა ხორციელდება ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში (მათ შორის ბიბლიოთეკაში) მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2010 წლის 2 დეკემბრის ბრძანება №01-01/68
2. რექტორის 2017 წლის 17 მაისის ბრძანება №01-01/32